კოდიფიცირებული

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №02

ქ. ბათუმი 16 ივლისი, 2008 წელი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2008 წლის 1 ივლისის №43 დადგენილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი (**დანართი 1**);
2. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2008–2009 სასწავლო წლის დაწყებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი \ ვ. შამილაძე\

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" პერსონალისა და სტუდენტთა ეთიკის კოდექსი"

(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 ივლისის 03 გადაწყვეტილებით)

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები
უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება ხუთ ძირითად ღირებულებას:
- მაღალი ხარისხი
- ინტელექტუალური თავისუფლება
- სამართლიანობა
- ანგარიშვალდებულება
- კეთილსინდისიერება

მუხლი 2. მაღალი ხარისხი
უნივერსიტეტის მიზანია მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, სწავლების, სწავლის, აკადემიური კვლევისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროებში.

მუხლი 3. ინტელექტუალური თავისუფლება
ინტელექტუალური თავისუფლება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს აკადემიური მიზნების რეალიზების, კერძოდ, კვლევის, სწავლისა და სწავლების პროცესში. ამასთანავე, უზრუნველყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

მუხლი 4. სამართლიანობა
სამართლიანობა უნივერსიტეტისთვის ნიშნავს პიროვნების პატივისცემას და მათდამი სამართლიან და მიუკერძოებელ მოპყრობას. სამართლიანობის პრინციპი საფუძვლად უდევს უნივერსიტეტში არსებულ სტანდარტებს და პროცედურებს სტუდენტებთან, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან მიმართებაში.

მუხლი 5. ანგარიშვალდებულება
ანგარიშვალდებულება წარმოადგენს უნივერსიტეტის საქმიანობის ნებისმიერი სფეროს მთავარ ღირებულებას. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ანგარიშვალდებულია მინიჭებული უფლებებისა და მოვალეობების სრულფასოვან განხორციელებაზე, სტუდენტები ვალდებულნი არიან შეასრულონ ის ვალდებულებები, რომელიც მათ დაეკისრათ უნივერსიტეტში მიღებისთანავე. უნივერსიტეტის ყველა ჯგუფის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია ერთმანეთთან საკუთარ საქმიანობაზე.

მუხლი 6. კეთილსინდისიერება
უნივერსიტეტის საქმიანობა დაფუძნებული უნდა იყოს კეთილსინდისიერებაზე, რაც გამოიხატება თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

თავი I
ეთიკის კოდექსის დანიშნულება და გამოყენება

მუხლი 7. ეთიკის კოდექსის რეგულირების სფერო

1. კოდექსი აღწერს უნივერსიტეტის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს და ადგენს ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების ქცევის სტანდარტებს უნივერსიტეტის ღირებულებების, კანონმდებლობისა და მარეგულირებელი წესების შესაბამისად;
2. კოდექსი სთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს სტუდენტებს, ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს შესაძლო ეთიკური დილემის მოგვარების მიზნით;
3. კოდექსი განკუთვნილია ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალისათვის და არეგულირებს უნივერიტეტის ნებისმიერი სახის საქმიანობას.

მუხლი 8. ეთიკის კოდექსის გამოყენების პრინციპები

1. კოდექსი გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად და ხორციელდება მისი რეგულარული განახლება;
2. კოდექსი არ შეიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას და მისი მიზანია, ადმინისტრაციულ, აკადემიურ, დამხმარე პერსონალსა და სტუდენტებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტების შესაბამისად;

თავი II
ეთიკის პრინციპები და სტანდარტები

მუხლი 9. აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და სწავლება

1. აკადემიური პერსონალი მოვალეა :
ა) გაავრცელოს ცოდნა სწავლებისა და კვლევის საშუალებით.
ბ) ეფექტურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა აკადემიური პროფესიონალიზმის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით.
გ) თავისი საქმიანობა და სტუდენტებთან ურთიერთობა დაამყაროს მაღალაკადემიურ და ეთიკურ სტანდარტებზე.
დ) თითოეული ლექციისათვის მოემზადოს მაღალ დონეზე და შეეცადოს გაზარდოს სტუდენტების მოტივაცია, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები და პოტენციალი.
ე) შექმნას ყველა საჭირო პირობა კეთილსინდისიერი და აკადემიური გარემოს არსებობისათვის, შეიმუშავოს სწავლების ისეთი მეთოდები, შეფასების ისეთი სისტემა, რომლებიც წაახალისებს სტუდენტების აკადემიურ კეთილსინდისიერებას.
ვ) გამოავლინოს <u>პლაგიატისა</u> თუ აკადემიური სიყალბის ყველა შემთხვევა, ამასთანავე გამოიკვლიოს მათი მიზეზები და მიიღოს შესაბამისი ზომები მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად.
ზ) დაიცვას სტუდენტების აკადემიური თავისუფლების უფლება.

თ) ხელი შეუწყოს სტუდენტებს შორის აზრთა თავისუფალ გაზიარებას.
ი) პატივისცემით მოეპყრას სტუდენტებს და გაუწიოს მათ აკადემიური და ინტელექტუალური ხელმძღვანელობა.
კ) უზრუნველყოს ლექციების დროული დაწყება და დამთავრება, არ დაუშვას ლექციის გაცდენის შემთხვევები, სერიოზული მიზეზების არსებობის გარდა.
ლ) საჯაროდ გამოაკრას სამუშაო და მიღების საათები სტუდენტებისათვის და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სტუდენტების მიღება მიღების საათების შემდეგაც.
მ) საფუძვლიანად შეიმუშავოს სალექციო კურსის თემატიკა, სტრუქტურა და პერიოდულად მოახდინოს მისი განახლება სათანადო სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.
ნ) მუდმივად ეცადოს გააუმჯობესოს სალექციო კურსები და სასწავლო პროცესი წარმართოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ო) სტუდენტების შეფასების პროცესში იმოქმედოს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესაბამისად და მის მიერ მიცემული შეფასება დააფუძნოს მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და არა პიროვნულ მახასიათებლებზე, როგორიცაა: სქესი, რელიგია, რასობრივი კუთვნილება, პიროვნული ღირებულებები, პოლიტიკური კუთვნილება და სხვა.
პ) სტუდენტებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ.
ჟ) არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რითაც რომელიმე სტუდენტს/სტუდენტებს ჩააყენებს სხვებთან შედარებით ხელსაყრელ ან პრივილეგირებულ მდგომარეობაში.
რ) არ გაამჟღავნოს სტუდენტის შესახებ მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია (მაგალითად: აკადემიური მოსწრების, პირადი ცხოვრების, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების შესახებ), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის კანონიერი მიზეზი არსებობს.
ს) არ გამოიყენოს სტუდენტის შესაძლებლობა პირადი სარგებლის მიზნით, არ მიითვისოს სტუდენტის ნამუშევარი.
ტ) არ გაუწიოს დისკრიმინაცია სტუდენტებს რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის ან სხვა მსგავსი გარემოებების საფუძველზე.
უ) თავიდან აიცილოს სტუდენტებთან ისეთი ფორმის ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც საფრთხეს შეუქმნის ლექტორის მიერ სტუდენტის ობიექტურად და სამართლიანად შეფასებას, სტუდენტს პირადული კონფლიქტის ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად აქცევს.

მუხლი 10. პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება

1. აკადემიურმა პერსონალმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს საკუთარი დრო და ენერგია თავისი პროფესიონალიზმის დონის ასამაღლებლად.
2. აკადემიური პერსონალის საქმიანობა უნდა იყოს კეთილსინდისიერი.
3. აკადემიურმა პერსონალმა არ უნდა დააკნინოს უნივერსიტეტის სხვა პროგრამებისა თუ სალექციო კურსის მნიშვნელობა სტუდენტების თანდასწრებით.

მუხლი 11. კოლეგებთან ურთიერთობა

1. აკადემიური პერსონალი კოლეგებთან ურთიერთობაში :
ა) ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას კოლეგების აკადემიური თავისუფლება, პატივისცემით და სამართლიანად მოეპყრას მათ;
ბ) სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს კოლეგის საქმიანობა და თავი შეიკავოს დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო შეფასებებისგან.
გ) აკადემიური პერსონალის ურთიერთკრიტიკა ყოველთვის უნდა იყოს კონსტრუქციული.
დ) არ გაამჟღავნოს საუნივერსიტეტო საქმიანობის (მაგალითად, გრანტების კომისიაში, გასაჩივრების კომისიაში მონაწილეობა) დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია რომელიმე კოლეგის შესახებ.

ე) არ გამოხატოს მუქარა, შეურაცხყოფა ან დამცირება სიტყვიერად ან ქმედებით.
ვ) არ წარმოაჩინოს არასწორად ან მცდარად კოლეგის შეხედულება საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით.
ზ) თანაბრად და სამართლიანად გადაინაწილოს უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები;
თ) აქტიური დახმარება გაუწიოს კოლეგებს პროფესიული განვითარების პროცესში.
ი) კოლეგების ან სხვა მეცნიერების აზრი გამოიყენოს მხოლოდ შესაბამისი ციტირებით, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.
კ) არ მიიღოს და არ განიხილოს რომელიმე კოლეგის კრიტიკა სტუდენტების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში მოუწოდოს სტუდენტებს მიმართონ უშუალოდ კრიტიკის ობიექტს ან ფაკულტეტის დეკანს.
ლ) არ გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე.
მ) არ შეურაცხყოს ან ანონიმურად არ დაადანაშაულოს კოლეგები, ხოლო საჩივრის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ფაკულტეტის ეთიკის კომიტეტს.

მუხლი 12. ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ურთიერთობა

1. აკადემიური პერსონალი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წინაშე ვალდებულია:
ა) პატივისცემით და სამართლიანად მოეპყრას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს და მათ საქმიანობას უნივერსიტეტში.
ბ) არ განახორციელოს ქმედებები, რომლებიც გამოიწვევს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დისკრიმინაციას.
გ) არ გამოიყენოს ადმინისტრაციის წარმომადგენლები პირადი სარგებლის მიღების მიზნით და არ წარმოაჩინოს მათთან ერთობლივი ნამუშევარი, როგორც მხოლოდ საკუთარი.
დ) თავისი ქმედებით არ დააყენოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ეთიკური დილემის წინაშე (მაგალითად, სთხოვოს ადმინისტრაციას არ გაამჟღავნოს მათ მიერ ლექციის გაცდენის ფაქტი, მოსთხოვოს უნივერსიტეტის კონფიდენციალური მასალების მათთვის მიწოდება/გაცნობა).

მუხლი 13. უნივერსიტეტი და აკადემიური პერსონალი

1. აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის წინაშე ვალდებულია:
ა) როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, მუდმივად ეცადოს აკადემიური და პედაგოგიური პროფესიონალიზმის ამაღლებას;
ბ) გარდა პედაგოგიური და აკადემიური მოვალეობებისა, ისინი ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, უნივერსიტეტის სხვადასხვა დონეზე არსებულ კომიტეტებში და ორგანიზაციებში მუშაობით, იმ პირობით, რომ ეს ხელს არ უშლის მათ ძირითად მოვალეობებს და ამასთანავე არ აღემატება მათ პიროვნულ და პროფესიულ შესაძლებლობებს.
გ) დაემორჩილოს უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ მარეგულირებელ წესებს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს წესები და სტანდარტები არ ზღუდავდეს მათ აკადემიურ თავისუფლებას.
დ) ხელი შეუწყოს ისეთი რეფორმების ინიცირებასა და განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებასა და გაუმჯობესებას.
ე) თავი შეიკავოს არასაუნივერსიტეტო საქმიანობაში ისეთი ჩართვისაგან, თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათ მიერ საუნივერსიტეტო მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.

ვ) ეფექტურად და სათანადოდ გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკური აღჭურვილობა.
ზ) სამართლიანად, თანასწორად და პატივისცემით მოეპყრას უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს თუ სტუდენტს. მათი მხრიდან დაუშვებელია რომელიმე თანამშრომლის ან სტუდენტის ექსპლუატაცია ან დისკრიმინაცია.
თ) დროულად აცნობოს უნივერსიტეტს სამსახურის მოსალოდნელი დროებითი დატოვების შესახებ.

მუხლი 14. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ადმინისტრაციულმა პერსონალმა:
ა) შექმნას ცოდნის მიღებისა და პროფესიული სრულყოფისათვის ხელსაყრელი გარემო და პირობები უნივერსიტეტში.
ბ) უნივერსიტეტს, მის თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრას პატივისცემით და სამართლიანად.
გ) მისი საუნივერსიტეტო საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, პროფესიულ კეთილსინდისიერებას და ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში უნივერსიტეტის იმიჯისა და ნდობის ამაღლებას.
დ) მუშაობის დროს უზრუნველყოს ხელსაყრელი პირობებისა და გარემოს შექმნა, როგორც საკუთარი, ისე თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის.
ე) უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოს სქესის, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური კუთვნილების, ასაკის გამო თანამშრომელთა და სტუდენტების დისკრიმინაციის თავიდან აცილება.
ვ) დაემორჩილოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილ მარეგულირებელ წესებსა და პროცედურებს და შესაბამის კანონმდებლობას.
ზ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ უნივერსიტეტის რესურსების ეფექტური გამოყენება.
თ) არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა პირადი სარგებლის მიღების მიზნით. აღნიშნული შემთხვევა კვალიფიცირდება როგორც ინტერესთა კონფლიქტი და თავიდანვე უნდა იყოს აღკვეთილი.
ი) არ მიიღოს საჩუქარი, ან თანხა უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან, უნივერსიტეტის ბიზნეს-პარტნიორების ან სხვა დაინტერესებული პირებისაგან მათთვის პირადი სარგებლის სანაცვლოდ.
კ) ეფექტურად და სათანადოდ გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკური აღჭურვილობა.
ლ) არ დაუშვას ანონიმური წერილები, დაუსაბუთებელი (ან თუნდაც დასაბუთებული) განცხადებები და კომენტარები კოლეგის სამსახურეობრივი საქმიანობისა და პირადი ცხოვრების შესახებ.
მ) არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის კანონიერი საჭიროება არსებობს.
ნ) არ მიიღოს სამსახურში ახლო ნათესავები, გარდა კონკურსის წესით სამსახურში მიღებისა. ახლო ნათესავში იგულისხმება ადმინისტრაციული თანამდებობის პირის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, გერი, და ან ძმა, აგრეთვე მშობლის და შვილის გერები.

მუხლი 15. სტუდენტები (შეტანილია ცვლილება რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 ივლისის № 03 გადაწყვეტილებით)

1. რსუ-ს ყველა სტუდენტი ვალდებულია მოიქცეს ეთიკის ნორმების დაცვით, პატივი სცეს სხვების ღირსებას და ინტელექტუალურ საკუთრებას, თავი შეიკავოს სხვისთვის ზიანის მომტანი საქციელისათვის, აღიაროს თითოეული სტუდენტის უფლება მიიღოს განათლება ძალადობის, დისკრიმინაციისა და დაშინებისგან თავისუფალ გარემოში. სტუდენტი თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევაში, თუმცა ვალდებულია პატივი სცეს სხვის განსხვავებულ შეხედულებებსაც.

2. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე/სემინარზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
ბ) აკადემიური სიყალბე (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც პროფესორის/მასწავლებლის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული, სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა, პლაგიატი - სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე ან საბაკალავრო/სამაგისტრო/ სადისერტაციო თეზისის ყიდვა.
გ) სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
ე) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირის მიერ სხვისი გამოცდის ჩაბარების ფაქტის დამალვა და ხელშეწყობა;
ი) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება/გამოყენება;
კ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე ზეწოლით;
ლ) დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა.
მ) ცრუმოწმეობა;
ნ) ძალადობა (სიტყვიერი და ფიზიკური), ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის, ბილწსიტყვაობა;
ო) განგებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ხანძრის, აფეთქების, მუქარის ან სხვა მოვლენების შესახებ);
პ) ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე დაგვიანება.
3.აუდიტორიაში სტუდენტის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროფესორ/მასწავლებელი, რომელიც უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება.

თავი III
ეთიკის კოდექსის იმპლემენტაცია

მუხლი 16. კოდექსის იმპლემენტაცია

1. ეთიკის კოდექსის სრულფასოვანი იმპლემენტაცი უნივერსიტეტის მდგრადობის, განვითარებისა და წარმატების აუცილებელი პირობაა.
2. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების აღსრულება უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული ნებისმიერი თანამშრომლის ვალდებულებაა და ეთიკური პრინციპების

შელახვამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინარული სანქცია, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა.
3. უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტი ვალდებულია იმოქმედოს უნივერსიტეტის ეთიკური ნორმის შესაბამისად.
4. აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების დარღვევის ყოველი შემთხვევის შესახებ აუწყონ შესაბამის სტრუქტურას, უნივერსიტეტში დადგენილი გასაჩივრების სისტემით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
5. არაეთიკური ქმედებების დაფარვა საფრთხეს შეუქმნის უნივერსიტეტის ღირებულებებს, წარმატებულ საქმიანობას და ასევე დაისჯება დადგენილი წესით.

თავი IV
ეთიკის კომიტეტი

მუხლი 17. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა და სტატუსი

1. ეთიკის საკითხებზე დავების გადამწყვეტ ორგანოს წარმოადგენს უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტი, რომელიც შედგება 5 წევრისაგან, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს, სტუდენტთა თვითმმართველობის, ადმინისტრაციისა და პროფესიული გაერთიანების წარმომადგენლებისაგან;
2. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობას ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წარმომადგენლებიდან ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
3. ეთიკის კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ მაინც, ან საჭიროებისამებრ კომიტეტის წევრების 1/3-ის მოთხოვნით;
4. უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტი ქმნის ფაკულტეტის ეთიკის კომიტეტს, რომელიც შედგება 5 წევრისაგან, სადაც 2 არის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, 2 სტუდენტთა წარმომადგენელი და 1 ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
5. უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს ეკისრება სააპელაციო ფუნქცია;
6. რსუ-ს და ფაკულტეტების ეთიკის კომიტეტები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ რსუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და ამ კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. (შეტანილია ცვლილება რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 ივლისის №03 გადაწყვეტილებით)
7. ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის რსუ-ს პერსონალისა და სტუდენტების მიმართ გამოიყენება რსუ-ს შინაგანწესით გათვალისწინებული სანქციები. (შეტანილია ცვლილება რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 16 ივლისის №03 გადაწყვეტილებით)